

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12.08 2014 წელი

1 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 11/105  
2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                                | 3  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....                                        | 3  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა.....                                              | 4  |
| პირობითი მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....          | 4  |
| პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                     | 9  |
| დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ .....           | 9  |
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....                                        | 9  |
| აუდიტორის პასუხისმგებლობა.....                                              | 9  |
| პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ .... | 10 |
| პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ .....            | 24 |
| მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....                                         | 24 |
| ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს.....                   | 24 |
| შრომის ანაზღაურება .....                                                    | 29 |
| მივლინებები.....                                                            | 30 |
| ქვეპროგრამა „უცხოეთში სტაჟირება“ .....                                      | 32 |
| ინვენტარიზაცია .....                                                        | 33 |
| დაწესებულებების ღონისძიებების ხარჯები .....                                 | 34 |
| დაწესებულებების სხვა შემოსავლები .....                                      | 34 |
| ბიუჯეტის შედგენა - შესრულება .....                                          | 35 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....                                   | 38 |
| ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები .....                                       | 39 |



## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, არ ასახავს სამინისტროს რეალურ საფინანსო მდგომარეობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის დანართი ფორმა N2-ის თანახმად,



„ვალდებულება“ შეადგენს 25 964 609 ლარს, „მოთხოვნა“ - 25 874 775 ლარს, „გადახდა (საკასო ხარჯი)“ – 27 035 600 ლარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური ბალანსის თანახმად კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასო ხარჯი შეადგენს 25 874 775 ლარს. აუდიტის ობიექტის განმარტებით<sup>1</sup>, სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის ხარჯების „მოთხოვნაში“ ასახულია მხოლოდ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ორგანიზაციების მიერ მიღებული დაფინანსების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯის მონაცემები, ხოლო „გადახდაში“ - როგორც რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საჯარო სკოლების მიერ ვაუჩერული დაფინანსების სახით, მიღებული დაფინანსებიდან გაწეული საკასო ხარჯი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსში აღრიცხვით იქმნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების დუბლირების შესაძლებლობა, რადგან საჯარო სკოლები საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შედის და მათ მიერ მიღებული ვაუჩერული დაფინანსება, კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების შემთხვევაში, აისახება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის მონაცემი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსების შესახებ არაზუსტია, რადგან მასში გათვალისწინებული არ არის სსიპ „დაბა შუახევის სკოლა-პანსიონის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული 153 658 ლარის ოდენობის ვაუჩერული დაფინანსება.

რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საჯარო სკოლებში არ არის დაფინანსების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. კერძოდ, სსიპ „დაბა შუახევის სკოლა-პანსიონი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ანგარიშგებას წარუდგენს მხოლოდ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში, ხოლო დანარჩენი ხუთი საჯარო სკოლა როგორც რესპუბლიკური, ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაზე, თუმცა ბალანსის დანართი ფორმა N3-ის თანახმად, სსიპ „ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა“, სსიპ „ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა“ და სსიპ „ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის

<sup>1</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის განმარტებითი ბარათი



საჯარო სკოლა-პანსიონი“ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას აღრიცხავს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების მონაცემში, ხოლო სსიპ „ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლა“ და სსიპ „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“ - შემოსავლების ნაწილში<sup>2</sup>, რაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში სამინისტროს ეგექტური შიდა კონტროლის სისტემის არარსებობაზე მიუთითებს.

**2. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის ინფორმაცია არაფინანსური აქტივების მონაცემების შესახებ სრულყოფილად არ ასახავს სამინისტროს რეალურ საფინანსო მდგომარეობას.**

- ა(ა)იპ „რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 20 მარტის N02/127 ბრძანებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული 738 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 705.03 კვ. მ შენობა-ნაგებობა. გადაცემული ქონება არ არის შეფასებული და აღრიცხული ორგანიზაციის საბალანსო მონაცემებში<sup>3</sup>.

- ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის“ მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გაწეული იქნა 41 902 ლარის საკასო ხარჯი, რომელიც დაფინანსებული იქნა ოფისის ხარჯების მუხლით. განხორციელებული სამუშაოებიდან უმეტესი ნაწილი თავისი შინაარსით კაპიტალური სამუშაოებია, რაც გამოიხატება დაწესებულების ძირითადი აქტივების არსებითი გაუმჯობესებით და ექვემდებარებოდა შესაბამისი ფასით მისი საბალანსო ღირებულების გაზრდას, რაც არ განხორციელებულა<sup>4</sup>.

<sup>2</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები და 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი

<sup>3</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი, მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი და მე-18 მუხლის მე-9 პუნქტი

<sup>4</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი



- სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“, ბათუმის ცვილის ფიგურების მუზეუმში მომხდარი ქურდობის შედეგად გამოწვეული 68 085 ლარის დანაკლისი/ ზიანი დადგენილი წესით არ არის აღრიცხული ორგანიზაციის საბალანსო მონაცემებში<sup>5</sup>.

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ღონისძიებების ფარგლებში, პროექტის „მწვანე კორპუსის“ მიმწოდებელმა<sup>6</sup> სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს დაუბრუნა პროექტის განხორციელების შედეგად მორჩენილი 15 დასახელების 87 ერთეული მცირეფასიანი აქტივი. აღნიშნული აქტივები ფიზიკურად ინახება დეპარტამენტის მარაგების ოთახში<sup>7</sup>, მაგრამ არ არის ასახული დეპარტამენტის ინვენტარიზაციის მასალებში<sup>8</sup>, არ აქვთ ღირებულებითი შეფასება<sup>9</sup> და არ არის აღრიცხული დეპარტამენტის საბალანსო მონაცემებში<sup>10</sup>.

**3. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის ანგარიში, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, შესაბამისობაში არ არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“, შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, მეთოდურ განმარტებებთან.**

- ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის“, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“ და ა(ა)იპ „რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ მიერ ფასიანი სწავლებით მიღებული შემოსავლები, ბალანსის დანართი ფორმა N4-ში კლასიფიცირებულია, როგორც „შემოსავლები საკუთრებიდან“ (კოდი 050), ხოლო სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის

<sup>5</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის 32-ე და 38-ე პუნქტები

<sup>6</sup> ა(ა)იპ „მეგობრობის ხმა“

<sup>7</sup> მატერიალურ ფასეულობათა ფიზიკური დათვალიერების აქტი 28/03/2013 წ.

<sup>8</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები.

<sup>9</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი

<sup>10</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი და მე-18 მუხლის მე-9 პუნქტი



სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ და ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ მიერ იგივე სახის შემოსავლები კლასიფიცირებულია, როგორც „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი“ (კოდი 090), რაც შესაბამისობაში არ არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ შემოსავლების კლასიფიკაციის მეთოდურ განმარტებებთან.

- სსიპ „აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის“ ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები ბალანსის დანართი ფორმა N4-ში კლასიფიცირებულია როგორც „შემოსავლები საკუთრებიდან“ (კოდი 050), რაც შესაბამისობაში არ არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ შემოსავლების კლასიფიკაციის მეთოდურ განმარტებებთან.

- ა(ა)იპ „რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ მიერ სამინისტროსთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით მიღებული თანხები გახარჯული იქნა მასტერკლასების და რეპეტიციების ორგანიზებისათვის, აგრეთვე პროექტის 7 მონაწილისა და პედაგოგის გერმანიაში გამგზავრების უზრუნველსაყოფად, თუმცა ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N4-ში ეს ხარჯები ასახულია როგორც გაცემული სუბსიდიები (კოდი 25), რაც შესაბამისობაში არ არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მეთოდურ განმარტებებთან.

- ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში“ სწავლის საფასური თითოეული მოსწავლისთვის სემესტრულად შეადგენს 30 ლარს. 2013 წლის იანვრიდან ივნისამდე სკოლაში ირიცხებოდა 1 093 მოსწავლე, საიდანაც სწავლის საფასურისგან გათავისუფლებული იყო 156 მათგანი. 2013 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე სკოლაში ირიცხებოდა 1118 მოსწავლე, საიდანაც სწავლის საფასურისგან გათავისუფლებული იყო 157 მოსწავლე. 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს დავალიანება დარჩა 29 მოსწავლეს, რაც შეადგენს 870 ლარს. დავალიანება არ არის ასახული ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის“ 2013 წლის წლიურ ბალანსში<sup>11</sup>.

<sup>11</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-12, მე-13 პუნქტები, მე-12 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტები და მე-13 მუხლის 26-ე პუნქტი



## პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

## დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობა და ფინანსური



ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### **პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ**

1. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამის „სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის „სპორტული ინვენტარის შეძენის“ ფარგლებში გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში, მაღალი რისკის შემცველია, საქონელის მიწოდების დრო, ხარისხი და საბაზრო ფასთან შესაბამისობა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, 2013 წლის 31 ოქტომბერს, პროგრამის „სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის „სპორტული ინვენტარის შეძენის“ ფარგლებში, სხვადასხვა კლასიფიკატორის კოდის მქონე საქონელის<sup>12</sup> ერთ შესყიდვად სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი<sup>13</sup>. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა სახის სპორტული საქონელი და ველოსიპედები, თუმცა სატენდერო განცხადებაში მითითებული იქნა მხოლოდ სპორტული საქონელი და მოწყობილობების კლასიფიკატორის კოდი<sup>14</sup>. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, ბაზრის სათანადო შესწავლის გარეშე<sup>15</sup>, განისაზღვრა 487 000 ლარით. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „მ.ნ.კ“ (კომპანია დაფუძნებულია ტენდერის გამოცხადების დღეს<sup>16</sup>), რომლის სატენდერო წინადადების ფასმა შეადგინა 487 000 ლარი.

<sup>12</sup> CPV 34400000 - მოტოციკლეტები, ველოსიპედები და მოტოციკლეტის ეტლები; CPV 37400000 - სპორტული საქონელი და მოწყობილობები

<sup>13</sup> SPA130023739

<sup>14</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები

<sup>15</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

<sup>16</sup> ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 677111, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13107624



წარმოდგენილი მასალებით, სატენდერო წინადადებით/ ხელშეკრულებით<sup>17</sup> გათვალისწინებული საქონელის მიწოდება განხორციელებულია 7 ეტაპად. მაღალი რისკის შემცველია 2013 წლის პირველი და ბოლო მიწოდება, რადგან პირველ შემთხვევაში, არსებული დოკუმენტაციით, დეპარტამენტისათვის საქონელი მიწოდებული იქნა 2013 წლის 18 ნოემბერს, მაშინ როდესაც თვით მიმწოდებელ კომპანიას აღნიშნული საქონელიდან ნაწილი<sup>18</sup> შეძენილი აქვს დეპარტამენტისთვის მიწოდების განხორციელებიდან 15 დღის შემდეგ, 2013 წლის 3 დეკემბერს<sup>19</sup>. მეორე შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დეპარტამენტისათვის საქონელი მიწოდებული იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს, მაშინ როდესაც თვით მიმწოდებელ კომპანიას აღნიშნული საქონელიდან ნაწილი<sup>20</sup> შეძენილი აქვს დეპარტამენტისთვის მიწოდების განხორციელებიდან 5 დღის შემდეგ, 2013 წლის 31 დეკემბერს<sup>21</sup>.

სხვადასხვა კლასიფიკატორის კოდის მქონე შესყიდვის ობიექტების ერთ შესყიდვად გამოცხადებით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პოტენციურ მიმწოდებელთა წრე, რამაც გამოიწვია შესყიდვის, ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით, შეუსაბამოდ მაღალი ფასი. შედარებისთვის შეიძლება მოყვანილი იქნეს რამდენიმე მაგალითი, კერძოდ: დეპარტამენტისთვის მიწოდებული 4 ერთეული ძალოსნობის ფიცარნაგის საცალო საბაზრო ფასი, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შეძენის დოკუმენტაციის თანახმად, შეადგენს 4 680 ლარს, თუმცა დეპარტამენტმა ერთ ფიცარნაგში გადაიხადა 4 500 ლარი (სულ 4 ერთეულ ფიცარნაგში გადახდილია 18 000 ლარი, ფასნამატი შეადგენს 284.6%-ს, 13 320 ლარს); მიწოდებული 8 ერთეული მკლავჭიდის მაგიდის საცალო საბაზრო ფასი შეადგენს სულ 3600 ლარს, თუმცა დეპარტამენტმა ერთ მაგიდაში გადაიხადა 2 500 ლარი (სულ 8 ერთეულ მკლავჭიდის მაგიდაში გადახდილია 20 000 ლარი, ფასნამატი შეადგენს 455.6%-ს, 16 400 ლარს); მიწოდებული ფეხბურთის ბურთის საცალო საბაზრო ფასი შეადგენს 25 ლარს, თუმცა დეპარტამენტმა ერთ ბურთში გადაიხადა 100 ლარი (სულ 100 ერთეულ ფეხბურთის ბურთში გადახდილია 10 000 ლარი, ფასნამატი შეადგენს 300%-ს, 7 500 ლარს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა“, იმავე პერიოდში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით<sup>22</sup> შეისყიდა

<sup>17</sup> ხელშეკრულება N205, 14/11/2013 წ.

<sup>18</sup> 4 დასახელების 290 ბურთი და 2 ერთეული ბაგირი (დირეზულება 22 100 ლარი)

<sup>19</sup> სასაქონლო ზედნადები Nელ-0092291811, 03/12/2013 წ.

<sup>20</sup> 45 დასახელების სპორტული საქონელი (დირეზულება 170 500 ლარი)

<sup>21</sup> სასაქონლო ზედნადები Nელ-0096373961, 31/12/2013 წ., სასაქონლო ზედნადები Nელ-0096374100, 31/12/2013 წ., სასაქონლო ზედნადები Nელ-0096373997, 31/12/2013 წ.

<sup>22</sup> SPA140007963



დადგენილი სტანდარტებისა, მასის, ზომისა და შემადგენლობის მქონე ბურთები<sup>23</sup>. ტენდერში ხუთი პრეტენდენტის მონაწილეობის პირობებში, ერთი ერთეული ფეხბურთის და კალათბურთის ბურთის შესყიდვის ფასმა შეადგინა 28 ლარი, მაშინ როდესაც დეპარტამენტის მიერ ერთი ერთეული ფეხბურთის ბურთი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეძენილია 100 ლარად, ხოლო კალათბურთის ბურთი - 70 ლარად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე მიწოდებული საქონელის ხარისხთან შესაბამისობის საკითხი. ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის“ მწვრთნელების განმარტებებით<sup>24</sup>, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შესყიდული ბურთები შეჯიბრებებისა და ტურნირებისთვის გამოუყენებელია/ უვარგისია.

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტისთვის მიწოდებულ საქონელში შპს „მ.ნ.კ“-ს მიერ ჯამურად გადახდილია 330 000 ლარი. დეპარტამენტის მხრიდან, ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით 157 000 ლარით მეტი თანხის გადახდა, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან ხარჯვაზე მიუთითებს.

## **2. სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ადგილი აქვს, სათანადო საფუძვლების გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელების შემთხვევებს.**

- ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“ მიერ 90.36%-იანი დაფინასებით, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“ და სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ საერთო სარგებლობაში არსებული შენობის<sup>25</sup> კაპიტალური რემონტის (შეკეთება) და რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის<sup>26</sup> საშუალებით გაფორმებულ ხელშეკრულების<sup>27</sup> ღირებულებამ შეადგინა 899 999 ლარი, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 კალენდარული დღე. მიწოდების ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე, 2013 წლის 20 დეკემბერს, მიმწოდებლის წერილის<sup>28</sup>

<sup>23</sup> CPV 37451700 - სოკერის (ფეხბურთის) ბურთები, CPV 37452200 - კალათბურთის ბურთები, CPV 37461510 - მაგიდის ჩოგბურთის ბურთები, CPV 37461520 - მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნები

<sup>24</sup> ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის“ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის და ხელბურთის მწვრთნელ-პედაგოგების ახსნა-განმარტებები 20/05/2014 წ.

<sup>25</sup> ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლის“ სარგებლობაშია შენობის 90.36%

<sup>26</sup> SPA130018573

<sup>27</sup> ხელშეკრულება N24, 19/09/2013 წ.

<sup>28</sup> შპს „კავკასუს ინვესტის“ წერილი N12/9, 16/12/2013 წ.



საფუძველზე ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 160 კალენდარული დღე. ვადის გაგრძელების მოთხოვნის საფუძველად მიმწოდებელი მიუთითებს, რომ შენობის შიდა და გარე სადემონტაჟო სამუშაოების დროს აღმოჩნდა, რომ გარე მზიდი კედელი კონსტრუქციულად არ შეესაბამებოდა მის დანიშნულებას, ასევე მთავარი შესასვლელი აივნის სვეტების დამუშავების დროს აღმოჩნდა თაღოვანი ნაწილის გამაგრების აუცილებლობა და გათბობის სისტემა მოითხოვდა ძირფესვიან რეაბილიტაციას. აგრეთვე აღნიშნულია კლიმატური პირობების გაუარესებისა (თუმცა კლიმატური პირობების გაუარესებით გამოწვეულ ხელშემშლელ გარემოებებზე შესაბამისი მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი) და ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხების გამო სამუშაოების შესრულების შეუძლებლობაზე. აღნიშნული არგუმენტაცია სრულად ვერ იქნება გაზიარებული, რადგან შენობის შიდა და გარე სადემონტაჟო სამუშაოები გეგმა-გრაფიკის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სექტემბრის და ოქტომბრის თვეში, ხოლო 2013 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებით შეიცვალა ხარჯთაღრიცხვა, თუმცა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მიწოდების ვადის გაგრძელების აუცილებლობა არ დამდგარა. ხელშეკრულებაში 2013 წლის 26 დეკემბერს შევიდა კიდევ ერთი ცვლილება, რომლითაც სამუშაოების შესრულების ვადა შემცირდა და შეადგინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 130 კალენდარული დღე. შემსყიდველი დასაბუთებულად ვერ განმარტავს მიწოდების ვადის ჯერ გაგრძელების, ხოლო შემდეგ, შემცირების მიზეზებს. მიწოდების ვადის გაგრძელების არსებულ გარემოებებთან ადეკვატურობა დაუსაბუთებელია.

- სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის“ საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>29</sup> გაიმარჯვა შპს „რანდმა“<sup>30</sup>, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების<sup>31</sup> ღირებულებამ შეადგინა 58 505 ლარი, ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდი<sup>32</sup>. წარმოდგენილი მასალებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს, 2013 წლის 27 დეკემბერს, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება N1/7, რომელიც სისტემაში ატვირთულია აუდიტის მიმდინარეობის დროს, 2014 წლის 8 აპრილს<sup>33</sup>. იმავე თარიღისა და ნომრის

<sup>29</sup> SPA130027058

<sup>30</sup> ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი

<sup>31</sup> ხელშეკრულება N78, 26/12/2013 წ.

<sup>32</sup> ხელშეკრულების ხელმოწერიდან 4 დღე

<sup>33</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9



შეთანხმება<sup>34</sup> სისტემაში ატვირთულია, აგრეთვე, 2014 წლის 10 აპრილს. ამჯერად, შეთანხმების ტექსტი შეცვლილია (დამატებულია პუნქტები საქონელის სიასა და წინასწარ ანგარიშწორებასთან დაკავშირებით) და თანდართული აქვს შესასყიდი საქონელის სია, საბანკო გარანტია<sup>35</sup> და სატენდერო კომისიის ოქმი<sup>36</sup>. ოქმის თანახმად, შეთანხმება გაფორმდა მიმწოდებლის ზეპირი თხოვნის საფუძველზე.

2014 წლის 10 აპრილს ატვირთული შეთანხმებით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შეუცვლელად, სხვადასხვა სახის საქონელის რაოდენობის შემცირების ხარჯზე, გაიზარდა ორი დასახელების მისაწოდებელი საქონელის ფასი (ჯამში 1 155 ლარის ოდენობით), ასევე დაემატა 715 ლარის ღირებულების ახალი სახის საქონელი, რაც თავისი შინაარსით ახალი შესყიდვაა და უნდა განხორციელებულიყო შესყიდვის იგივე საშუალებით<sup>37</sup>.

ზემოაღნიშნული შეთანხმებებით, ავეჯის მიწოდების ვადა გაგრძელდა 26 დღით, 2014 წლის 25 იანვრამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ავეჯი მიწოდებულია 2014 წლის 25 იანვარს<sup>38</sup>. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში არ არის მითითებული მიწოდების ვადის შეცვლის მიზეზები, ვერც აუდიტის მიმდინარეობის დროს იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები მიწოდების ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ასევე არსებობს იდენტური თარიღის და ნომრის ორი სხვადასხვა შეთანხმება და ისინი სისტემაში, გონივრულ ვადებში არ არის ატვირთული, მიწოდების ვადის გაგრძელება უსაფუძვლოა და შესაძლოა, მხოლოდ მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების<sup>39</sup> თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

- სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგენტოს“ მიერ, 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ, 1000 ერთეული წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის<sup>40</sup> საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებით<sup>41</sup>, ხელშეკრულების ღირებულება

---

ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

<sup>34</sup> შეთანხმება N1/7, 27/12/2013 წ.

<sup>35</sup> საავანსო გადახდის საბანკო გარანტია № ADV32344-13, 27/12/2012 წ.

<sup>36</sup> ოქმი N5, 27/12/2013 წ.

<sup>37</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი

<sup>38</sup> მიღება-ჩაბარების აქტი N4/1, 25/01/2014 წ.

<sup>39</sup> 14 626.3 ლარი

<sup>40</sup> SPA130021287

<sup>41</sup> ხელშეკრულება N263, 15/10/2013 წ.



განისაზღვრა 11 499 ლარით, ხოლო მიწოდების ვადად - ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 დღე, შესაბამისად, 2013 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. მიწოდების ვადის დასრულების დღეს<sup>42</sup>, 2013 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულია შეთანხმება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადა გაგრძელებულია 25 იანვრამდე. წარმოდგენილ შეთანხმების საფუძველად მითითებულია მიმწოდებლის 2013 წლის 9 დეკემბრის N80 წერილი, რომელიც ვერ იქნა წარმოდგენილი. სააგენტოს უფლებამოსილი პირების სიტყვიერი განმარტებით, წერილის ნომრად ნაცვლად 80-სა, უნდა იყოს 81. წარმოდგენილი 2013 წლის 9 დეკემბრის N81 წერილით ვადის გაგრძელების მიზეზად მითითებულია წიგნის მართლწერისა და რედაქტირების განხორციელებისათვის დიდი დროის საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება გაფორმდა 2013 წლის 9 დეკემბერს, ხოლო შეთანხმების საფუძველად მითითებული მიმწოდებლის წერილი<sup>43</sup> სააგენტოს შემოსულ კორესპონდენციად რეგისტრირებულია და ვიზირებულია 2013 წლის 12 დეკემბერს, წერილში მითითებული გარემოებები წიგნის მართლწერისა და რედაქტირების განხორციელებისათვის დიდი დროის საჭიროებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლისთვის არ წარმოადგენდა ახალ, ხელშეკრულების გაფორმებამდე მისთვის უცნობ გარემოებებს და შესაბამისად, ვადის გაგრძელების არგუმენტად ვერ განიხილება. ამდენად, მიწოდების ვადების გაგრძელება უსაფუძვლოა და შესაძლოა, მხოლოდ მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების<sup>44</sup> თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

3. ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლისა“ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის განხორციელება შესყიდვის ობიექტის გამოქვეყნებული ტექნიკური პარამეტრებით რისკის შემცველია.

- ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლა“ , 2013 წლის 28 ივნისს, არასაბიუჯეტო შემოსავლებით ავტოსატრანსპორტო საშუალების<sup>45</sup> შესყიდვის მიზნით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი<sup>46</sup>. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 17 000 ლარით. ტენდერი არ შედგა, რის გამოც იგივე პირობებით 2013

<sup>42</sup> 2013 წლის 8 დეკემბერი იყო კვირა დღე

<sup>43</sup> შპს „ART HOUSE“-ის წერილი N81, 09/12/2013 წ.

<sup>44</sup>საქონლის მიწოდების თარიღის გათვალისწინებით (სასაქონლო ზედნადები N0099275719; 27/01/2014 წ.; სასაქონლო ზედნადები N0099315734; 27/01/2014 წ.) - 2 817.3 ლარი

<sup>45</sup> CPV 34113000

<sup>46</sup> SPA130014193



წლის 8 ივლისს გამოცხადდა ახალი ტენდერი<sup>47</sup>, თუმცა ტენდერი ამჯერადაც არ შედგა. 2013 წლის 26 აგვისტოს სასპორტო სკოლამ შესყიდვის ობიექტის შეცვლილი ტექნიკური პარამეტრებით გამოაცხადა ხელახალი ტენდერი<sup>48</sup>. კერძოდ, მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება (ჯიპი) შეიცვალა მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებით (სედანით), გამოშვების თარიღი - 2004 წელი, შეიცვალა 2002 წლით, ასევე მოთხოვნილი იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის ისეთი მონაცემები, როგორცაა ძრავის მოცულობა 4500 კუბ. სმ, 19-იანი ალუმინის დისკები, სალონის ტიპი - შავი ტყავი, საბურავი წინა 245/45, საბურავი უკანა 275/40, აუდიო მართვა ტყავის საჭით და ა. შ. მიწოდების თარიღად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღე. პარამეტრების ცვლილების დასაბუთებული განმარტება ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლას“ არ წარმოდგენია.

ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პირი<sup>49</sup>, რომელმაც 17 000 ლარიანი შეთავაზებით გაიმარჯვა და გაფორმდა ხელშეკრულება<sup>50</sup>. ხელშეკრულების შესაბამისად, მიწოდებული იქნა ავტომანქანა BMW 745 I, სარეგისტრაციო ნომერი SPR 050. მიწოდებული ავტომობილის ძრავის მოცულობა, წარმოდგენილი ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის<sup>51</sup> თანახმად, შეადგენს არა მოთხოვნილ 4 500 კუბ. სმ-ს, არამედ 4 398 კუბ. სმ-ს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, საქონელის შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელება შესაძლოა ფორმალურ ხასიათს ატარებდეს და იგი არ უზრუნველყოფდეს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიზნების მიღწევას.

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, 2013 წლის 9 სექტემბერს ავტოსატრანსპორტო საშუალების<sup>52</sup> შესყიდვის მიზნით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი<sup>53</sup>. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 44 385 ლარით. აღნიშნული ფასით გაიმარჯვა ტენდერში მონაწილე ერთადერთმა პრეტენდენტმა<sup>54</sup>, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება<sup>55</sup>. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის შემდეგ, მიმწოდებელი

<sup>47</sup> SPA130014825

<sup>48</sup> SPA130018612

<sup>49</sup> ფ/პ მედეა კონცელიძე (პირადი ნომერი 61002000919)

<sup>50</sup> ხელშეკრულება N102, 06/09/2013 წ.

<sup>51</sup> BV1006382

<sup>52</sup> CPV 34113100 - ჯიპები

<sup>53</sup> SPA130019730

<sup>54</sup> ფიზიკური პირი თემურ გოგსაძე, პ/ნ 09001012723

<sup>55</sup> ხელშეკრულება N187, 23/09/2013 წ.



იტყობინება <sup>56</sup>, რომ მისაწოდებელი ავტომანქანის განბაჟების დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღი იყო არა 2010 წელი, არამედ 2008 წელი, რის გამოც ვერ ასრულებდა სახელშეკრულებო ვალდებულებებს. დეპარტამენტს მიმწოდებლისთვის არ მოუთხოვია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება და მომდევნო დღეს ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, თუმცა მიმწოდებელზე ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საჯარიმო ღონისძიებები არ იქნა გატარებული. ხელშეკრულების შეწყვეტიდან ოთხი დღის შემდეგ <sup>57</sup>, შესყიდვის ობიექტის შეცვლილი ტექნიკური პარამეტრებით გამოცხადდა ახალი ტენდერი <sup>58</sup>. კერძოდ, საწვავის ტიპი დიზელი შეიცვალა ბენზინით, გამოშვების თარიღი 2010 წლიდან, შეიცვალა გამოშვების თარიღით - 2009 წლიდან, გარბენის მონაცემი არაუმეტეს 170 000 კილომეტრი, შეიცვალა არაუმეტეს 80 000 კილომეტრით. ცვლილების განხორციელების გარემოებებს დეპარტამენტი ვერ განმარტავს. ტენდერის გამოცხადებიდან ერთი დღის შემდეგ, 2013 წლის 1 სექტემბერს განხორციელდა გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის კორექტირება, რომლის შედეგადაც შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მახასიათებლებს დაემატა სამი პუნქტი: „სიგრძე არანაკლებ 4750 სმ, სიგანე არანაკლებ 1880 სმ, სიმაღლე არანაკლებ 1840 სმ“. კორექტირების განხორციელების დასაბუთება დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. ორივე შემთხვევაში, გამოქვეყნებული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები რისკის შემცველია.

4. სსიპ „ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის“ მიერ, პანსიონის აღსაზრდელთა კვების მომსახურების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, გაზრდილია ყოველდღიური ხარჯების ოდენობები და ფაქტობრივად შეუსრულებელ მომსახურებაზე შემსყიდველის მიერ გადახდილია 4 802.3 ლარით მეტი, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტესა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

სსიპ „ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში“ პანსიონის აღსაზრდელთა კვების მომსახურების მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე<sup>59</sup> სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა

<sup>56</sup> წერილი N944, 25/09/2013 წ.

<sup>57</sup> 30/09/2013 წ.

<sup>58</sup> SPA130021433

<sup>59</sup> SPA130000885



184 800 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით<sup>60</sup>, საკვალიფიკაციო პირობად დადგინდა პანსიონის 220 აღსაზრდელის 168 დღის განმავლობაში დღეში სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა. არსებული მასალებით დგინდება, რომ სატენდერო წინადადება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობით<sup>61</sup>, წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა<sup>62</sup>. კომისიის გადაწყვეტილებით, პრეტენდენტის სისტემაში ატვირთული წინადადება სრულიად შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, თუმცა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ არც მენიუსა და არც პროდუქტების გადანაწილების ხარჯთაღრიცხვაში ორშაბათს საუზმითა და პარასკევს ვახშმით კვებითი უზრუნველყოფა არ იყო გათვალისწინებული. ნაცვლად დისკვალიფიკაციისა ან/და დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნისა, მხარეებს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება<sup>63</sup>. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია 2013 წლის 21 იანვრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით, 168 სასწავლო დღეზე, პანსიონის 220 აღსაზრდელი უზრუნველყოს დღეში სამჯერადი კვების მომსახურებით, თუმცა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ პროდუქტის განაწილების, მენიუს და ხარჯთაღრიცხვის მონაცემებში ცვლილება არ განხორციელებულა და კვლავ წარმოდგენილი იქნა გასაწევი ხარჯების ოდენობა და ღირებულება ორშაბათს საუზმითა და პარასკევს ვახშმით კვებითი უზრუნველყოფის გარეშე.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ორშაბათს საუზმით და პარასკევს ვახშმით კვებითი უზრუნველყოფა არ ხორციელდებოდა (ივნისამდე პერიოდში მთლიან კონტიგენტზე - 220 ბავშვზე, ხოლო ივნისის თვის შემდგომ მოსწავლეთა რაოდენობა მერყეობს 205-220 მოსწავლეს შორის). მოსწავლეთა გამოცხადების მიხედვით, მთლიანი სახელშეკრულებო თანხიდან გადახდილია 2 293.5 ლარით ნაკლები, 182 507 ლარი, თუმცა შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ანგარიშსწორებისათვის არსებული გაანგარიშებების გათვალისწინებით (რაც გულისხმობს დღეში 1 კაცზე 5 ლარს), კვირის სხვა დღეებში დაუსაბუთებელად გაზრდილია ყოველდღიური ხარჯების ოდენობები და ფაქტობრივად შეუსრულებელ მომსახურებაზე შემსყიდველის მიერ გადახდილია 4 802.3 ლარით მეტი. გარდა ზემოაღნიშნულისა, არის შემთხვევები, როდესაც სასაქონლო ზედნადების გამოწერის

<sup>60</sup> სსიპ „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის“ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1, 14/01/2013 წ.

<sup>61</sup> 184 800 ლარი

<sup>62</sup> ინდ. მეწარმე მანანა ვერულიძე (პირადი N61004020552)

<sup>63</sup> ხელშეკრულება N03-05/5, 23/01/2013 წ.



თარიღი წინ უსწრებს მასში აღწერილი მომსახურების გაწევის თარიღს. მაგ. 2013 წლის 28 იანვარს გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში<sup>64</sup> მითითებულია აღსაზრდელთა კვებითი მომსახურების ღირებულება 2013 წლის 21 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში. სასაქონლო ზედნადების მონაცემები დადასტურებულია 2013 წლის 31 იანვარს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. სასაქონლო ზედნადების, ფაქტის განხორციელებამდე წინსწრებით გამოწერა და შემდეგ დაფიქსირებული მონაცემის მიღება-ჩაბარების აქტით ფორმალური დადასტურება, შიდა კონტროლის არსებით სისუსტესა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს. ანალოგიური ხასიათის დარღვევები ასახული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2012 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში, თუმცა აღნიშნული არ არის სრულად გათვალისწინებული.

**5. სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ მიერ, 2013 წელს, 195 820 ლარით დაფინანსებულია საოპერო სტუდიის სოლისტების/ კაპელის მსახიობების უცხოეთის სასწავლებლებსა და ცენტრებში სწავლება/კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები, რაზედაც ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაცია, გარდა მგზავრობისა და ღამისთევისათვის გაწეული ხარჯებისა.**

სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ მიერ დაფინანსებულია სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ საოპერო სტუდიის სოლისტების/ კაპელის მსახიობების უცხოეთის სასწავლებლებსა და ცენტრებში სწავლება/კვალიფიკაციის ამაღლება. ღონისძიების 2013 წლის საკასო ხარჯი შეადგენს 195 820 ლარს<sup>65</sup>. აღნიშნული პროექტით სააუდიტო პერიოდში ისარგებლა 8 პირმა. გასაგზავნ პირთა შერჩევის კრიტერიუმები დოკუმენტურად დადგენილი არ არის. სწავლების დაფინანსება ხდება მსურველის წერილობითი განცხადებისა და მიმღები დაწესებულების თანხმობის ან/და მოწვევის საფუძველზე გამოცემული, სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით. წარგზავნილ პირებსა და სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრს“ შორის, გარდა სამი პირისა<sup>66</sup>, არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც განსაზღვრავდა მახარეთა უფლება-მოვალეობებს.

<sup>64</sup> სასაქონლო ზედნადები N0049667570, 28/01/2013 წ.

<sup>65</sup> 2011-2013 წწ. საკასო ხარჯი შეადგენს 496 037 ლარს

<sup>66</sup> სულხან ჯაიანი, ოთარ ნაკაშიძე, ინგა ჯახუტაშვილი



სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ მიერ დაფინანსება განხორციელებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით. თანხის გამოყოფის შესახებ ბრძანებებში აღნიშნულია, რომ შესაბამის პერიოდში საოპერო სტუდიის სოლისტს/კაპელის მსახიობს უჩერდება შრომითი ურთიერთობა.

გაწეული დაფინანსებიდან, გარდა მგზავრობისა და ღამისთევისათვის გაწეული ხარჯებისა, ხარჯვის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, რასაც წარგზავნილ პირს ავალდებულებდა სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ დირექტორის, სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით, გამოცემული ბრძანებები. კერძოდ, შესაბამისი ბრძანების მეორე პუნქტის თანახმად, მუსიკალური ცენტრის მიერ დაფინანსებული პირი ვალდებულია გამოყოფილი თანხის ფარგლებში უზრუნველყოს სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოდგენა. ზემოაღნიშნული სათანადოდ არ ხორციელდება, რაც სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

**6. ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვისათვის გაწეული ხარჯების მოცულობა და მიზნობრიობა, რიგ შემთხვევებში, მაღალი რისკის შემცველია.**

- ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ სარგებლობაშია, ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ საკუთრებაში არსებული, 7 000 ლარი საწყისი ღირებულების მქონე, მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება SUBARU FORESTER (გამოშვების თარიღი 1998 წელი), რომელიც სამართლებრივად არ არის გადაცემული და აღრიცხული ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ ბალანსზე. სატრანსპორტო საშუალებაზე (გარდა საწვავისა) 2012-2013 წწ. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 177 ლარი, მათ შორის 2013 წელს გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 280 ლარი, საიდანაც მხოლოდ ავტოსათადარიგო ნაწილებზე და მათ შეცვლასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე გადახდილია 4 480 ლარი.

- სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ სარგებლობაშია ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა მოვლა-შენახვაზეც 2013 წელს სულ გაწეული იქნა 22 348 ლარის ოდენობის საკასო ხარჯი, საიდანაც 12 726 ლარის გაწეულია საწვავზე, 3 140 ლარი გადახდილია საბურავებზე, 1 895 ლარი - სხვა ავტოსათადარიგო ნაწილებზე და 4 587 ლარი - ავტოსათადარიგო ნაწილების შეცვლასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე. სრული ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:



| N                | ავტომანქანის<br>დასახელება     | გამოშვების<br>თარიღი | გაწეული ხარჯები (ლარი) |                                |             |             |
|------------------|--------------------------------|----------------------|------------------------|--------------------------------|-------------|-------------|
|                  |                                |                      | საბურავები             | ავტო<br>სათადარიგო<br>ნაწილები | მომსახურება | ჯამი        |
| 1                | მიკროავტობუსი<br><b>TOYOTA</b> | 2008                 | 3040                   | 828                            | 3325        | 7193        |
| 2                | <b>გაზ 3129</b>                | 1997                 | 100                    | 1067                           | 1262        | 2429        |
| <b>სულ ჯამი:</b> |                                |                      | 3140                   | 1895                           | 4587        | <b>9622</b> |

მაღალი რისკის შემცველია მიკროავტობუსის<sup>67</sup> სათუნუქო და სამღებრო სამუშაოებზე გადახდილი 2 110 ლარის<sup>68</sup> მიზნობრიობა, რადგან არ არის იდენტიფიცირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი დაზიანება, გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები.

7. ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ მიერ ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის გადაცემულია 1 940 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი. მიმღებ პირებზე, საქონელის ღირებულებიდან გამომდინარე, არ არის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი.

ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ უნიფორმის, სპორტული ფორმისა და სპორტული ინვენტარის გამანაწილებელი კომისიის სხდომის ოქმების<sup>69</sup> საფუძველზე, ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ ადმინისტრაციის თანამშრომლებზე გაცემული იქნა 1 940 ლარის ღირებულების სპორტული ფეხსაცმლები (ბოტასი), სპორტული კოსტუმები და სპორტული ჩანთები. მიმღებ პირებზე, საქონელის ღირებულებიდან გამომდინარე, არ არის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი<sup>70</sup>.

8. სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების მხრიდან ადგილი აქვს მათ სარგებლობაში არსებული ქონების მესამე პირთათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის დროს, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებს. მათ შორის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას მესაკუთრის თანხმობის გარეშე და საიჯარო ქირის დაუსაბუთებელ შემცირებას.

<sup>67</sup> სარეგისტრაციო ნომერი NEN 228

<sup>68</sup> ი/მ სარქის იანდიანი - 1 550 ლარი, შპს „ირბათ ფ.ნ“ – 560 ლარი

<sup>69</sup> ოქმი N1, 29/05/2013 წ., ოქმი N2, 11/10/2013 წ., ოქმი N4, 23/10/2013 წ., ოქმი N6, 18/12/2013 წ.

<sup>70</sup> დარღვეულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი



- ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის“ მხრიდან მესაკუთრის თანხმობის გარეშე ადგილი ჰქონდა შესაბამის პერიოდში ხელოვნების სკოლის ბალანსზე არარსებული, თუმცა ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული შენობის იჯარით გაცემის შემთხვევას<sup>71</sup>.
- სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს“, სააუდიტო პერიოდში, 8 შემთხვევაში, სხვადასხვა პირებზე იჯარით აქვს გაცემული თეატრის დარბაზი და 9 კვ. მ ფართი, საიდანაც მიღებული შემოსავალი შეადგენს 29 776 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, თეატრის ადმინისტრაციის მიერ<sup>72</sup> ეთხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს თეატრის დარბაზის იჯარისათვის განსაზღვრული დღიური საიჯარო ქირის - 3 000 ლარის შემცირებასთან დაკავშირებით, თუმცა სამინისტროს<sup>73</sup> უარის მიუხედავად, თეატრის მიერ 6 შემთხვევაში თეატრის დარბაზი იჯარით გაცემულია 3 000 ლარზე ნაკლებ ფასად, რამაც გამოიწვია თეატრის შემოსავლების 15 204 ლარით შემცირება. სრული ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

| მოიჯარე                                                  | დღეების რაოდენობა | საიჯარო ქირა ხელშეკრულებით (ლარი)  | ბუღალტრულად, იჯარით მიღებული შემოსავალი (გადახდა) | ფინანსთა სამინისტროს განსაზღვრული საიჯარო ქირის გათვალისწინების შემთხვევაში (ლარი) | სხვაობა (ლარი) |
|----------------------------------------------------------|-------------------|------------------------------------|---------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|----------------|
| შპს "მულტი პულტი სამყარო"                                | 2                 | 3000                               | 3000                                              | 6000                                                                               | 3000           |
| სსიპ "აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი "ხორუმი" | 1                 | გაყიდული ბილეთების ღირებულების 20% | 296                                               | 3000                                                                               | 2704           |
| შპს "არტ ბიემსი"                                         | 1                 | 1500                               | 0                                                 | 3000                                                                               | 1500           |
| სსიპ "ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი"              | 2                 | 1500                               | 1500                                              | 6000                                                                               | 4500           |
| ა(ა)იპ "აჭარის მხიარულთ და საზრიანთა ფედერაცია"          | 1                 | 1000                               | 1000                                              | 3000                                                                               | 2000           |
| ა(ა)იპ საზოგადოება "ბათუმელი"                            | 1                 | 1500                               | 0                                                 | 3000                                                                               | 1500           |
| <b>სულ:</b>                                              |                   |                                    |                                                   |                                                                                    | <b>15204</b>   |

<sup>71</sup> დარღვეულია თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის N24 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>72</sup> წერილი N37, 16/05/2012 წ.

<sup>73</sup> წერილი N0116/კ-1245, 05/06/2012 წ.



• ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს“ 2013 წლის განმავლობაში სარგებლობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების იჯარით გაცემაზე გაფორმებული აქვს 6 საიჯარო ხელშეკრულება, მათ შორის 5 საჯარო აუქციონის ფორმით.

საჯარო აუქციონის კომისიის 2013 წლის 10 იანვრის ოქმის თანახმად, პირობიანი აუქციონის საშუალებით, იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში გასაცემად გამოტანილი იქნა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის სხვადასხვა ფართი, 6 ლოტად. პირობად განისაზღვრა, რომ საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელებულიყო ყოველთვიურად, თანაბარწილად ყოველი თვის 25 რიცხვამდე <sup>74</sup>. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრა როგორც ფართობის გამოყენების უშუალო დანიშნულება, ასევე კვირაში დაკავებული საათების ზუსტი ოდენობა. აუქციონის შედეგების საფუძველზე, ხელშეკრულება გაფორმდა 5 ლოტზე, მეექვსე ლოტზე პრეტენდენტი არ ყოფილა. აუქციონის საფუძველზე გაფორმებული ხუთივე ხელშეკრულების <sup>75</sup> 3.3. პუნქტში მითითებულია, რომ „მოიჯარე არ იხდის ივლისის თვის ნახევარს და აგვისტოს თვის სრულ გადასახადს“, რაც აუქციონის პირობებით არ იყო გათვალისწინებული. ამდენად, აუქციონის პირობების გაუთვალისწინებლად, ხელშეკრულებით, საიჯარო ვადის შემცირებით, ორგანიზაციის შემოსავლები 2 481 ლარით შემცირდა. სრული ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

| ლოტი N      | იჯარით გაცემის თარიღი | საიჯარო ქირა თვეში | ბუღალტრულად, იჯარის წლიური შემოსავალი (გადახდა) | აუქციონის პირობებით, იჯარის წლიური შემოსავალი | სხვაობა (ლარი) |
|-------------|-----------------------|--------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|----------------|
| ლოტი N1     | 15/02/2013წ           | 310                | 2790                                            | 3255                                          | 465            |
| ლოტი N2     | 15/02/2013წ           | 415                | 3735                                            | 4357.5                                        | 622.5          |
| ლოტი N3     | 15/02/2013წ           | 415                | 3735                                            | 4357.5                                        | 622.5          |
| ლოტი N4     | 15/02/2013წ           | 257                | 2313                                            | 2698.5                                        | 385.5          |
| ლოტი N5     | 15/02/2013წ           | 257                | 2313                                            | 2698.5                                        | 385.5          |
| <b>სულ:</b> |                       |                    | 14886                                           | 17367                                         | <b>2481</b>    |

აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი საათობრივი განრიგით იჯარით გაცემული ფართობების ფაქტობრივად გამოყენების კონტროლის მექანიზმი, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

<sup>74</sup> საჯარო აუქციონის სხდომის ოქმის მე-5 პუნქტი

<sup>75</sup> ხელშეკრულება N1, 15/02/2013 წ.; ხელშეკრულება N2, 15/02/2013 წ.; ხელშეკრულება N3, 15/02/2013წ.; ხელშეკრულება N4, 15/02/2013 წ.; ხელშეკრულება N5, 15/02/2013 წ.



## პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან და სხვა მარგეულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების კანონმდებლობასთან და სხვა მარგეულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა მარგეულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

### მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

#### ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს

- სამინისტროს აპარატი ღონისძიებებს განათლებისა და კულტურის სფეროში, ხოლო სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ღონისძიებებს სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი განკარგულებების<sup>76</sup> საფუძველზე, ახორციელებენ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კანონით<sup>77</sup> გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი დადგენილია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ღონისძიებები ხორციელდება სხვადასხვა პერიოდულობით, მთელი წლის განმავლობაში და ვადებში შეზღუდულობის საკითხი, რიგ შემთხვევებში<sup>78</sup>, არ დგას, შემსყიდველის მიერ აღნიშნული საფუძვლით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მოთხოვნა გონივრულ საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმის მიზნებს. ეფექტური

<sup>76</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება N27, 05/02/2013 წ., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება N31, 05/02/2013 წ.

<sup>77</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

<sup>78</sup> მაგ. ხელშეკრულება N180, 17/06/2013 წ., კომპიუტერების შესყიდვა, მიმწოდებელი შპს „იბერია ჯგუფი“, ღირებულება 14 112 ლარი; ხელშეკრულება N276, 03/08/2013 წ., ფესტივალ „თოფუზის“ ორგანიზება, მიმწოდებელი ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“, ღირებულება 47 000 ლარი; ხელშეკრულება N368, 24/11/2013 წ., აუდიოალბომის „აჭარის ხალხური სიმღერები“ გამოცემა, მიმწოდებელი შპს „სამაუწყებლო სახლი“, ღირებულება 8 800 ლარი; ხელშეკრულება N374, 28/11/2013 წ., წიგნი-ალბომის „ხასან ჰელიმიშის“ ბეჭდვა, მიმწოდებელი შპს „სეზანი“, ღირებულება 9 780 ლარი; ხელშეკრულება N389, 17/12/2013 წ., წიგნი-ალბომის „აჭარის სახვითი ხელოვნება“ ბეჭდვა, მიმწოდებელი შპს „სეზანი“, ღირებულება 15 405 ლარი



კონკურენციის არარსებობის პირობებში, ზემოაღნიშნული წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს<sup>79</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2013 წლის 6 თვის ფინანსური აუდიტის ანგარიშში გამოთქმული მოსაზრება სამინისტროს მიერ სრულად არ იქნა გათვალისწინებული.

- სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული/ ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში<sup>80</sup>, განხორციელებულია ცვლილებები, რომლითაც მისაწოდებელი სამუშაოს მოცულობების გაზრდასთან ან/და შემცირებასთან ერთად, დამატებულია ახალი სახის სამუშაოები, რაც თავისი შინაარსით ახალი შესყიდვაა და უნდა განხორციელებულდეს შესყიდვის იგივე საშუალებით<sup>81</sup>, თუ აღნიშნული სამუშაოების ცალკე გამოყოფა შესაძლებელია, არ გამოიწვევს უკვე დაწყებული სამუშაოების შეჩერებას და შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის გაუარესებას.

- სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ რიგი ხელშეკრულებების<sup>82</sup> თანახმად, საქონელის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასების ცხრილით, თუმცა ფასების ცხრილი აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე სხვადასხვა სახის საქონელის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში<sup>83</sup>, კლასიფიკატორის კატეგორიის კოდის არასწორად მითითების გამო, ადგილი ჰქონდა გამარტივებული შესყიდვისთვის დადგენილი მონეტარული ზღვარის<sup>84</sup> დარღვევას.

- რიგ დაწესებულებებში<sup>85</sup> ვლინდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში<sup>86</sup> კლასიფიკატორის კოდის საერთოდ მიუთითებლობის შემთხვევები<sup>87</sup>.

<sup>79</sup> მაგ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელშეკრულება N80, 12/04/2013 წ. (ახალგაზრდული ღონისძიება „სტუდენტური დღეები - 2013“-ის ორგანიზება, მიმწოდებელი შპს „მარკა“, ღირებულება 35 000 ლარი)

<sup>80</sup> სამინისტროს აპარატის ხელშეკრულება N230, 25/07/2013 წ., სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელშეკრულება N142, 09/07/2013 წ.

<sup>81</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი

<sup>82</sup> ხელშეკრულება N12, 18/01/2013 წ., ხელშეკრულება N39, 26/06/2013 წ., ხელშეკრულება N51, 03/10/2013 წ.

<sup>83</sup> ხელშეკრულება N18, 04/02/2013 წ.

<sup>84</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტი

<sup>85</sup> სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“, ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“



- გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას, რიგი დაწესებულებების მიერ<sup>86</sup>, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურება არ ხდება<sup>89</sup>.
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, რიგ შემთხვევებში<sup>90</sup> ადგილი აქვს წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევებს<sup>91</sup>, სათანადო გარანტიის გარეშე<sup>92</sup>.
- სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ მიერ, საღორეთისა და მირვეთის ხიდების რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის<sup>93</sup> საშუალებით გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვის გამოქვეყნებულ სატენდერო დოკუმენტაციის მონაცემებთან არ არის შესაბამისობაში პრეტენდენტის, შემდგომში მიმწოდებლის<sup>94</sup> მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მონაცემები. კერძოდ, მირვეთის თაღოვანი ხიდის სარესტავრაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში (პუნქტი 1) სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო 1.82 კუბ. მეტრი ხის მასალის და 9.6 კგ ლურსმნის ხარჯვა და შესაბამისი ღირებულების წარმოდგენა, ფაქტობრივად კი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია 5.76 კუბ. მ ხის მასალისა და 40.32 კგ ლურსმნის ხარჯვის ნორმა და შეფასება, რამაც გამოიწვია მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასების გათვალისწინებით) 2 310.9 ლარით გაზრდა. სატენდერო კომისიის მიერ ზემოაღნიშნული უზუსტობები არ იქნა გათვალისწინებული და პრეტენდენტთან

<sup>86</sup> ხელშეკრულება N00-13/ა, 27/06/2013 წ., ხელშეკრულება N13, 17/05/2013 წ., ხელშეკრულება N3, 15/01/2013 წ., ხელშეკრულება N6, 07/02/2013 წ.

<sup>87</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

<sup>88</sup> სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“

<sup>89</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი

<sup>90</sup> ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“, ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩიშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა“, სსიპ „ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“

<sup>91</sup> ხელშეკრულება N3, 18/02/2013 წ., ხელშეკრულება N17, 17/05/2013 წ., ხელშეკრულება N23, 10/06/2013 წ., ხელშეკრულება N24, 25/06/2013 წ., ხელშეკრულება N30, 29/07/2013 წ., ხელშეკრულება N31, 01/08/2013 წ., ხელშეკრულება N33, 09/08/2013 წ., ხელშეკრულება N35, 19/08/2013 წ., ხელშეკრულება N38, 07/10/2013 წ., ხელშეკრულება N43, 03/12/2013 წ., ხელშეკრულება N03-05/5, 18/01/2013 წ.

<sup>92</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტი

<sup>93</sup> SPA130019572

<sup>94</sup> შპს „ტაო-ტბელი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 216438040)



გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება<sup>95</sup>, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

- სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა“ და ინდ. მეწარმე „ნუგზარ დუმბაძეს“ შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გაფორმებული ხელშეკრულებით <sup>96</sup> მიმწოდებელი იღებდა ხიხანის ციხეზე არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის 4 წევრის, 30 დღის განმავლობაში დღეში სამჯერადი, კვებით უზრუნველყოფის ვალდებულებას. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 2 400 ლარით, რომელიც 2013 წლის 16 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმებით შემცირებულია 360 ლარით, თუმცა შემცირების მიზეზები შეთანხმებით არ დგინდება. 2013 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია მომსახურების მიღება, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტით არც დგინდება და ვერც აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 30 დღის განმავლობაში ექსპედიციის წევრების დღეში სამჯერადი კვების, ფაქტობრივად შეძენილი და გახარჯული საკვები პროდუქტების ხარისხის, რაოდენობისა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის გამოც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხარჯების გაწევის რეალურობა რისკის შემცველია.

- ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის“ მიერ, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, რიგ შემთხვევებში <sup>97</sup> ადგილი ჰქონდა შესყიდვის საშუალებებისთვის დადგენილი მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლობას <sup>98</sup>. კანონის მოთხოვნებისათვის თავის არიდების მიზნით, ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის“ მიერ გაფორმებული ერთეული ხელშეკრულებების ღირებულება არ აღემატება გამარტივებული შესყიდვისათვის დადგენილ ფარგლებს. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

<sup>95</sup> ხელშეკრულება N242, 19/09/2013 წ.

<sup>96</sup> ხელშეკრულება N223, 20/08/2013 წ.

<sup>97</sup> ხელშეკრულება N17, 17/05/2013 წ., ხელშეკრულება N23, 10/06/2013 წ., ხელშეკრულება N24, 25/06/2013 წ., ხელშეკრულება N25, 26/06/2013 წ., ხელშეკრულება N31, 01/08/2013 წ., ხელშეკრულება N33, 09/08/2013 წ., ხელშეკრულება N35, 19/08/2013 წ., ხელშეკრულება N38, 07/10/2013 წ., ხელშეკრულება N43, 03/12/2013 წ.

<sup>98</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი



| N            | ხელშეკრულების ნომერი და თარიღი | ხელშეკრულებაში მითითებული კლასიფიკატორის კოდი | ხელშეკრულების ღირებულება (ლარი) |
|--------------|--------------------------------|-----------------------------------------------|---------------------------------|
| 1            | N17, 17/05/2013 წ.             | 45400000                                      | 4970                            |
| 2            | N23, 10/06/2013 წ.             | 45400000                                      | 4984                            |
| 3            | N24, 25/06/2013 წ.             | 45430000                                      | 4983                            |
| 4            | N25, 26/06/2013 წ.             | 14800000, 1950000                             | 4795                            |
| 5            | N31, 01/08/2013 წ.             | 45400000                                      | 4996                            |
| 6            | N33, 09/08/2013 წ.             | 19500000                                      | 2200                            |
| 7            | N35, 19/08/2013 წ.             | 45400000                                      | 4985                            |
| 8            | N38, 07/10/2013 წ.             | 45400000                                      | 4994                            |
| 9            | N43, 03/12/2013 წ.             | 45400000                                      | 4995                            |
| <b>ჯამი:</b> |                                |                                               | <b>41902</b>                    |

ზემოაღნიშნული ქმნის ა(ა)იპ „ხალხური ხელოვნების სკოლის“ მიერ საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკებს.

- ა(ა)იპ „აჭარის განათლების ფონდმა“ ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენის სახელმძღვანელოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ერთ შესყიდვად<sup>99</sup> გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი<sup>100</sup>. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ორი პრეტენდენტი. შემდგომში გამარჯვებულ კომპანიასთან<sup>101</sup> გაფორმებული ხელშეკრულება<sup>102</sup> სატენდერო ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ შეწყვეტილი იქნა. მართალია შესყიდვის ერთ შესყიდვად გამოცხადება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ეს წიგნები სხვადასხვა გამომცემლობების მიერ არის გამოცემული, შესყიდვის ობიექტების ცალკე შესყიდვებად გამოცხადება მნიშვნელოვნად გაზრდიდა პოტენციურ მომწოდებელთა წრეს და შესაბამისად, შექმნიდა ეფექტური კონკურენციის შესაძლებლობებს.

- სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა“ და შპს „თექ-ევ ინშაათ დეკორასიონ თააჰჰუთ იჩ ვე დიშ თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთ“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით<sup>103</sup>, მიმწოდებელმა კომპანიამ იკისრა ვალდებულება სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ერთსართულიან შენობაზე დამატებითი სართულის დაშენების და

<sup>99</sup> CPV 22100000

<sup>100</sup> SPA130002885

<sup>101</sup> შპს BATUMI GROUP

<sup>102</sup> ხელშეკრულება N13, 08/02/2013 წ.

<sup>103</sup> ხელშეკრულება N30, 27/04/2012 წ.



სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე. აუდიტის მიმდინარეობის დროს, დაწესებულების მიერ აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, რადგან 2013 წლის 5 სექტემბერს მასალები გადაცემული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ მიერ შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისათვის გაწეულ სახსრებთან დაკავშირებით არ გვეძლევა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

### შრომის ანაზღაურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საპრემიო თანხების განაწილება და გაცემა ძირითადად ხდება მატერიალური წახალისებისა და პრემიების განაწილების კომისიის ოქმის საფუძველზე გამოცემული ხელმძღვანელის ბრძანებით. პრემიის გაცემის კრიტერიუმებად აღებულია დაკისრებული მოვალეობების სანიმუშოდ შესრულება და არასამუშაო საათებში თანამშრომლების დასაქმება. აუდიტის პერიოდში დაწესებულებათა მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება თანამშრომელთა არასამუშაო საათებში/ დღეებში მუშაობასთან დაკავშირებით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, თითოეულ თანამშრომელზე განსაზღვრულია თანამდებობრივი სარგოსთან მიმართებაში სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლები.

• სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ სამტატო ნუსხით განსაზღვრულია 27 სამტატო ერთეული. ანსამბლში დასაქმებულ ოთხ პირს უკავია ორი პოზიცია. ინფორმაცია დაკავებული პოზიციებისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით:

| სახელი, გვარი         | თანამდებობა               | თანამდებობრივი<br>სარგო | თანამდებობა                       | თანამდებობრივი<br>სარგო | ჯამური<br>თანამდებობრივი<br>სარგო |
|-----------------------|---------------------------|-------------------------|-----------------------------------|-------------------------|-----------------------------------|
| მზეჭაბუკ<br>სურმანიძე | დირექტორი                 | 1600                    | სოლისტი-<br>რეპეტიტორი            | 1370                    | <b>2970</b>                       |
| ნუგზარ დოლიძე         | სამხატვრო<br>ხელმძღვანელი | 1280                    | სოლისტი<br>უმაღლესი<br>კატეგორიის | 1570                    | <b>2850</b>                       |
| ნოდარ ვარშანიძე       | ქორმაისტერი               | 730                     | სოლისტი<br>უმაღლესი<br>კატეგორიის | 1570                    | <b>2300</b>                       |
| მამუკა სურმანიძე      | კონცერტმასტერი            | 510                     | სოლისტი<br>უმაღლესი<br>კატეგორიის | 1570                    | <b>2080</b>                       |



სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლ „ბათუმის“ უმაღლესი კატეგორიის სოლისტზე<sup>104</sup> შრომის ანაზღაურება<sup>105</sup> გაცემულია იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პირი, 2013 წელს, სსიპ „ბათუმის მუსიკალური ცენტრის“ დირექტორის შესაბამისი ბრძანებების<sup>106</sup> საფუძველზე სასწავლებლად/კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. მარსელში. სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ განმარტებით, აღნიშნული პირი სისტემატურად ჩამოდის ბათუმში და ესწრება რეპეტიციებს, ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული პორტუგალიაში გამართულ კონცერტში. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.

- ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ორ თანამშრომელზე<sup>107</sup> პრემია გაცემულია იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პირები მოცემულ პერიოდში იმყოფებოდნენ ანაზღაურების გარეშე შვებულებაში. საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად<sup>108</sup>, შვებულება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას, რა დროსაც დასაქმებული დროებით არ ასრულებს გათვალისწინებულ სამუშაოს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ თანახმად, პრემია წარმოადგენს ფულად წახალისებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ შემთხვევაში დაუშვებელია ფულადი წახალისება.

- სსიპ „აჭარის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმის“ დირექტორზე და ადმინისტრატორზე, გარდა საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოსა და პრემიისა, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯებიდან<sup>109</sup> გაცემული იქნა ჯამში 3 487.5 ლარის ოდენობის ხელფასი. რადგან ზემოაღნიშნული პირები არ წარმოადგენენ ანსამბლის შტატგარეშე მომუშავეებს, მათთვის აღნიშნული თანხის გაცემა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

### მივლინებები

- სამინისტროს აპარატის თანამშრომელთა მივლინებებისთვის, დამტკიცებულ ლიმიტს ზემოთ, გაცემულ 3 140 ლიტრი საწვავის<sup>110</sup> გამოყოფასა და

<sup>104</sup> სულხან ჯაიანი

<sup>105</sup> 2013 წლის განმავლობაში 18 840 ლარი

<sup>106</sup> სსიპ „ბათუმის მუსიკალური ცენტრის“ დირექტორის ბრძანებები N33, 20/07/2012 წ., N5, 23/01/2013 წ.

<sup>107</sup> გულნარა ახვლედიანი, ქეთევან რაზმაძე

<sup>108</sup> საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი

<sup>109</sup> სხვა შემოსავლები

<sup>110</sup> ღირებულება 6 400 ლარი



ხარჯვაზე სათანადო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ მივლინებების ხარჯების დაფინანსება რიგ შემთხვევებში განხორციელებულია მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუცველად. კერძოდ,

- ✓ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე და დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, შესაბამისი ბრძანების <sup>111</sup> საფუძველზე, 2013 წლის 30 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით, სათხილამურო სპორტში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე დასწრების მიზნით, მივლინებული იყვნენ დაბა ბაკურიანში. მივლინებულ პირებზე სულ ანაზღაურებულია 735 ლარი, მათ შორის ღამისთევისთვის 600 ლარი, რომელზეც არ არის წარმოდგენილი მივლინებული პირების მიერ თანხის ფაქტობრივად გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

- ✓ შესაბამისი ბრძანების <sup>112</sup> საფუძველზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი 2013 წლის 9 იანვარს მივლინებული იყო ქ. თბილისში წლის საუკეთესო მწვრთნელის, სპორტსმენის, გუნდის და ფედერაციის დაჯილდოებაზე დასწრების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ 10 იანვარი არ მოიცავდა მივლინების პერიოდს, მივლინებულ პირს აუნაზღაურდა 10 იანვრის დღიური და სასტუმრო მომსახურების ხარჯი 98.5 ლარი. მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუცველად, ზედმეტად ანაზღაურებულია 98.5 ლარი, ხოლო ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გატარებული სათანადო ღონისძიებები აღნიშნული თანხის ბიუჯეტში დაბრუნების მიზნით.

- ✓ შესაბამისი ბრძანების <sup>113</sup> საფუძველზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსი, 2013 წლის 30 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით, იმყოფებოდა ქ. თბილისში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ 2 მაისი არ მოიცავდა მივლინების პერიოდს, მივლინებულ პირს აუნაზღაურდა 1-2 მაისის სასტუმრო მომსახურების ხარჯი 70 ლარი. მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუცველად, ზედმეტად ანაზღაურებულია 70 ლარი, ხოლო ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გატარებული სათანადო ღონისძიებები აღნიშნული თანხის ბიუჯეტში დაბრუნების მიზნით.

<sup>111</sup> ბრძანება N01-05/05, 28/01/2013 წ.

<sup>112</sup> ბრძანება N01-05/01, 08/01/2013 წ.

<sup>113</sup> ბრძანება N01-05/18, 29/04/2013 წ.



✓ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე<sup>114</sup>, 2013 წლის 8 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით, მივლინებული იყო ავსტრიის ქალაქ გიოტზისში. მივლინების პერიოდის გათვალისწინებით, მივლინებული პირისთვის გადახდას ექვემდებარებოდა 5 დღის დღიური და 4 დღის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურება. მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუცველად, ზედმეტად ანაზღაურებულია 144.5 ლარი, ხოლო ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გატარებული სათანადო ღონისძიებები აღნიშნული თანხის ბიუჯეტში დაბრუნების მიზნით.

### ქვეპროგრამა „უცხოეთში სტაჟირება“

სამინისტროს აპარატის ქვეპროგრამა „უცხოეთში სტაჟირება“ დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N15 განკარგულებით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 35 400 ლარს, რომელიც დაფინანსებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ხარჯებიდან. პროგრამის მიზანია ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროგრამის „ევროოდისეის“ ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 15 მოქალაქის, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლება, პროფესიული სტაჟირებისათვის უცხოეთში გაგზავნა. პროგრამა ემყარება ახალგაზრდების ურთიერთგაცვლის პრინციპს, რის გამოც რეგიონში სამთვლიანი ვადით მოწვეული იყო ორი უცხოელი სტაჟიორი. პროგრამის ფარგლებში ათვისებულია 31131.2 ლარი (პროგრამის მთლიანი ბიუჯეტის 87.9%) მათ შორის: უცხოეთიდან მოწვეულ ორ სტაჟიორზე გადახდილი თანხა შეადგენს 6 000 ლარს (მთლიანი საკასო ხარჯის 19.3%), საქართველოს 12 სტაჟიორზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით გადახდილია 11 400 ლარი (მთლიანი საკასო ხარჯის 36.6%), ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებისა და მივლინების ხარჯებისათვის - 12 975.5 ლარი (მთლიანი საკასო ხარჯის 41.7%), მათ შორის მივლინებაზე საფრანგეთის რესპუბლიკაში - 3 586.5 ლარი, ფურშეტების მოწყობისთვის - 755.7 ლარი<sup>115</sup> (მთლიანი საკასო ხარჯის 2.4%). მიუხედავად მსურველთა რაოდენობისა<sup>116</sup>, ქვეპროგრამით გათვალისწინებული 15

<sup>114</sup> ბრძანება N01-05/09, 04/03/2013 წ.

<sup>115</sup> დარღვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N15 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის „ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის „უცხოეთში სტაჟირება“ მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლითაც ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 750 ლარი

<sup>116</sup> 2013 წელს რეგისტრირებულია 22 განცხადება



პირის სტაჟირებისა, სამი სტაჟიორის შეჩევა და დაფინანსება არ განხორციელებულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსებული 12 სტაჟიორიდან ერთი სტაჟიორი<sup>117</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია განაცხადის შემოტანამდე<sup>118</sup> რამდენიმე დღით ადრე<sup>119</sup>, რაც პროგრამის ხარვეზზე მიუთითებს.

### ინვენტარიზაცია

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფუძნებული და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული რიგი დაწესებულებების<sup>120</sup> ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები დაუნომრავია. ასევე დადგენილი წესით, ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან<sup>121</sup>.

- სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის“ მიერ 2013 წელს არ განხორციელებულა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მოთხოვნები.

- სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ ინვენტარიზაციის მასალებით ირკვევა, რომ ინვენტარიზაციის შედეგებში არ არის ასახული ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული, 123 448 ლარის ღირებულების „ლაბორატორიისათვის“ შეძენილი აქტივები და ბათუმის მუზეუმში მომხდარი ქურდობის შედეგად გამოწვეული დანაკლისები და ზიანი<sup>122</sup>, აგრეთვე, ჩატარებული

<sup>117</sup> სულხან ხომერიკი, პირადი N33001079213

<sup>118</sup> 03/09/2013 წ.

<sup>119</sup> 12/09/2013 წ.

<sup>120</sup> სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი“, ა(ა)იპ „რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“

<sup>121</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

<sup>122</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2, მე-3, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-15 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები



ინვენტარიზაციის შედეგებზე არ არის წარმოდგენილი საინვენტარიზაციო შედეგების ოქმი, შესაბამისი ინფორმაციებით<sup>123</sup>.

### დაწესებულებების ღონისძიებების ხარჯები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფუძნებული და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების<sup>124</sup> ღონისძიებების ორგანიზებისათვის გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი ძირითადად ზოგადია და არ მოიცავს გასაწევი მომსახურებისათვის ანაზღაურების ჯამურ მოცულობებს. დასასწრები ბილეთების რეალიზაციის დროს ეფექტური შიდა კონტროლის არარსებობა, ასევე არასათანადო რეკლამირება განაპირობებს ღონისძიებათა განსახორციელებლად გაწეულ ხარჯებსა და ღონისძიებებიდან მიღებულ შემოსავლებს შორის არსებულ მკვეთრ დისპროპორციას.

- (ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლის“ სპორტსმენების და თანმხლები პირების სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში მონაწილეობის დროს, პრაქტიკის სახით დამკვიდრებულია, რომ ხარჯების დაფინანსება ხდება არა თითოეული პირისთვის ცალკ-ცალკე, არამედ ხორციელდება ერთ-ერთ მათგანზე ჯამური თანხის ჩარიცხვა, რაც წარმოშობს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების რისკს. უცხოეთის ტურნირებში მონაწილეობის ღონისძიებების ფარგლებში გაწეულ 29 430.5 ლარის ხარჯიდან 4 040.8 ლარზე არ არის წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაცია.

### დაწესებულებების სხვა შემოსავლები

მოქმედი რეგულაციებით<sup>125</sup>, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფუძნებული და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების სხვა

<sup>123</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები

<sup>124</sup> სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“, სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“

<sup>125</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“, „დ<sup>1</sup>“ და „ე“ ქვეპუნქტები, სამინისტროს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებები, დაწესებულების მიერ დამტკიცებული და სამინისტროს მიერ შეთანხმებული 2013 წლის საფინანსო გეგმები



შემოსავლებიდან მიღებული სახსრების გადასახდელების გეგმას ითანხმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თუმცა შეთანხმება, რიგ შემთხვევებში ფორმალურ ხასიათს ატარებს და დაწესებულებების<sup>126</sup> მხრიდან არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან ხარჯების გაწევა ხორციელდება საგეგმო მაჩვენებლების გათვალისწინების გარეშე.

### ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით<sup>127</sup> განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სრული დაფინანსება განისაზღვრა 30 713 056 ლარით. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სამინისტროს დაფინანსების მოცულობა გაიზარდა 42 098 ლარით და შეადგინა 30 755 154 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 28 647 629 ლარი.

ხარჯების დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 27 288 931 ლარს. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების და მუხლობრივი გადანაწილების შედეგად, ხარჯების პარამეტრი გაიზარდა 41 867 ლარით და შეადგინა 27 330 798 ლარი. ცვლილება ძირითადად შეეხო „საქონელი და მომსახურების“ მუხლით (შემცირდა 66 133 ლარით) და „სხვა ხარჯების“ მუხლით (გაიზარდა 95 425 ლარით) გასაწევ ხარჯებს. ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 25 874 785 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 94.7%-ია. მათ შორის, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გასაწევი ხარჯების პარამეტრი შესრულდა 99%-ით, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით - 94.7%-ით, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით - 100%-ით, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლით - 83.5%-ით.

სამინისტროს არაფინანსური აქტივების ზრდის დამტკიცებულ პარამეტრთან დაკავშირებით ცვლილება არ განხორციელებულა და შედგინა 3 422 105 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 770 593 ლარი, რაც დამტკიცებული/დაზუსტებული ბიუჯეტის 81%-ს შეადგენს. გეგმასა და საკასო შესრულებას შორის სხვაობა შეადგენს 651 512 ლარს. შეუსრულებლობა ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცესის გაჭიანურების, აგრეთვე მიმწოდებლების მხრიდან

<sup>126</sup> ა(ა)იპ „ბათუმის სასპორტო სკოლა“, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“, ა(ა)იპ „ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“, სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“, სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“.

<sup>127</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (ვებგვერდი, 31/12/2012. სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016026)




ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობის გამო. ამასთან, საკასო შესრულების აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სააუდიტო წლის ბოლოს წინასწარი გადახდების განხორციელებასთან. სხვა შემთხვევაში საკასო შესრულების მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

ბიუჯეტის ასიგნებების სრული მუხლობრივი გადანაწილება და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

| დასახელება                                          | დამტკიცებული ბიუჯეტი | დაზუსტებული ბიუჯეტი | საკასო შესრულება  | დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების % |
|-----------------------------------------------------|----------------------|---------------------|-------------------|-----------------------------------|
| ხარჯები                                             | 27 288 931           | 27 330 798          | 25 874 785        | 94.7                              |
| შრომის ანაზღაურება                                  | 14 791 288           | 14 786 318          | 14 640 924        | 99.0                              |
| საქონელი და მომსახურება                             | 6 815 285            | 6 749 152           | 6 390 040         | 94.7                              |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება                   | 272 615              | 272 615             | 268 224           | 98.4                              |
| მივლინებები                                         | 132 430              | 132 430             | 102 070           | 77.1                              |
| ოფისის ხარჯები                                      | 1 352 796            | 1 352 565           | 1 240 915         | 91.7                              |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                           | 54 265               | 54 265              | 36 471            | 67.2                              |
| კვების ხარჯები                                      | 331 243              | 331 243             | 312 544           | 94.4                              |
| სამედიცინო ხარჯები                                  | 7 700                | 7 700               | 7 069             | 91.8                              |
| რბილი ინვენტარი და უნისფორმა                        | 150 849              | 150 849             | 147 071           | 97.5                              |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა და... მოვლა შენახვის ხარჯები | 260 675              | 260 675             | 219 697           | 84.3                              |
| სხვა დანაწილი საქონელი და მომსახურება               | 4 252 712            | 4 186 810           | 3 880 857         | 92.7                              |
| სოციალური უზრუნველყოფა                              | 0                    | 17 545              | 17 543            | 100.0                             |
| სხვა ხარჯები                                        | 5 682 358            | 5 777 783           | 4 826 278         | 83.5                              |
| არაფინანსური აქტივები                               | 3 422 105            | 3 422 105           | 2 770 593         | 81.0                              |
| ვალდებულებების კლება                                | 2 020                | 2 251               | 2 251             | 100.0                             |
| <b>სულ:</b>                                         | <b>30 713 056</b>    | <b>30 755 154</b>   | <b>28 647 629</b> | <b>93.1</b>                       |

სამინისტროს აპარატის 2013 წლის საკასო შესრულების (გადახდის) შესახებ ინფორმაცია მოცემულია გრაფიკის სახით (ლარში):





როგორც გრაფიკიდან ჩანს, 3 658 402 ლარი (მთლიანი დაფინანსების 61%) გახარჯულია „სხვა ხარჯების“ მუხლით. აღნიშნული მუხლიდან ფინანსდება სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები („სხვა ხარჯების“ მთლიანი საკასო შესრულების 99.7%), გარდა უცხოეთში სტაჟირების მიზნობრივი პროგრამისა, რომელიც დაფინანსებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლით. „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეული სრული დაფინანსება 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 998 615 ლარით. შემცირება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის საკასო შესრულების 1 771 755 ლარით შემცირებით. ამასთან, 2012 წელთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად გაზრდილია (414 838 ლარით) სტუდენტთა დახმარების მიზნობრივი პროგრამის დაფინანსება და შეადგინა 663 963 ლარი.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯებიდან 948 892 ლარი („საქონელი და მომსახურების“ მუხლის მთლიანი საკასო შესრულების 84 %), გახარჯულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ხარჯებიდან. აღნიშნული ხარჯებიდან დაფინანსებულია კულტურისა და განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (ღონისძიებების სრული საკასო ხარჯი 835 177 ლარი). ღონისძიებების საკასო ხარჯი 2012 წელთან მიმართებაში გაზრდილია 24 974 ლარით.

სამინისტროს აპარატის, 2013 წლის სრული დაფინანსების შესახებ ინფორმაცია, 2012 წელთან მიმართებაში, მოცემულია ცხრილის სახით:

| დასახელება                                                | 2012 წლის<br>საკასო ხარჯი<br>(ლარი) | 2013 წლის<br>საკასო ხარჯი<br>(ლარი) | სხვაობა<br>(ლარი) | %     |
|-----------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------|-------|
| შრომის ანაზღაურება                                        | 964 816                             | 1 165 877                           | 201 061           | 120.8 |
| შტატგარეშე მომუშავეთა<br>ანაზღაურება                      | 11 470                              | 12 978                              | 1 508             | 113.1 |
| მივლინება                                                 | 27 328                              | 26 926                              | - 402             | 98.5  |
| ოფისის ხარჯები                                            | 87 701                              | 86 205                              | - 1 496           | 98.3  |
| წარმომადგენლობითი<br>ხარჯები                              | 21 756                              | 8 976                               | - 12 780          | 41.3  |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა<br>და... მოვლა-შენახვის<br>ხარჯები | 74 395                              | 45 988                              | - 28 407          | 61.8  |
| სხვა დანარჩენი საქონელი და<br>მომსახურება                 | 900 363                             | 948 892                             | 48 529            | 105.4 |
| სოციალური<br>უზრუნველყოფა                                 | 20 678                              | 15 476                              | - 5 202           | 74.8  |
| სხვა ხარჯები                                              | 4 657 017                           | 3 658 402                           | - 998 615         | 78.6  |
| არაფინანსური აქტივების<br>ზრდა                            | 120 837                             | 39 486                              | - 81 351          | 32.7  |



ზემოაღნიშნული ცხრილიდან გამომდინარე, ზრდის კუთხით, მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულ ხარჯებს, რაც ძირითადად განპირობებულია პრემიის სახით გაწეული ხარჯების 109 380 ლარით გაზრდის გამო. პრემიის ხარჯების, 2013 წლის საკასო ხარჯი შეადგენს 479 230 ლარს, რაც თანამდებობრივი სარგოს 69.8%-ა. პრემიების გაცემა ხდებოდა ყოველთვიურად, ძირითადად თვეში საშუალოდ თითოეულ თანამშრომელზე თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით და ყოველკვარტალურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით. თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობის პრემია გაცემულია აგრეთვე ნოემბრის თვეში.

### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ნადიმ ბოლქვაძე

/უფროსი აუდიტორი/

გურანდა გვაზავა

/აუდიტორ-ასისტენტი/

რამაზ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

08 აგვისტო 2014 წელი

## ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

| კოდი                                       | აქტივები                                                                          | ანგარიშის<br>ნომერი | ნაშთი წლის<br>დასაწყისისათვის | ნაშთი წლის (კვარტალის)<br>ბოლოსათვის |
|--------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|---------------------|-------------------------------|--------------------------------------|
| 1                                          | 2                                                                                 | 3                   | 4                             | 5                                    |
| <b>I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</b> |                                                                                   |                     |                               |                                      |
